



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 091/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნინო ხიზანიშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

კლიენტებმა მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების უკან დაბრუნების თაობაზე იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით მიმართეს ადვოკატს. მათ შორის პირველი კომუნიკაცია 2012 წელს სოციალური ქსელის მეშვეობით შედგა, რის შემდეგაც ადვოკატმა დაიწყო საქმის წარმოებისათვის სათანადო დოკუმენტაციის მოძიება. კლიენტი და ადვოკატი პირადად 2014 წელს შეხვდნენ და ადვოკატმა განუმარტა საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება. პირველი კონსულტაციისა და შეთანხმების შინაარსს კლიენტი და ადვოკატი განსხვავებულად განმარტავენ: კლიენტის განმარტებით, ადვოკატს მისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია უძრავ ქონებაზე იპოთეკის არსებობის თაობაზე და ეს ინფორმაცია მისთვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, როდესაც სასამართლომ კლიენტებს იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 70 000 ლარი დააკისრა. ადვოკატის განმარტებით, მისმა კლიენტმა თავიდანვე იცოდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებისა და მისგან მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. კლიენტებმა ეთიკის კომისიას მიმართეს და მოითხოვეს ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, ასევე იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ მიღებული თანხის ნაწილის უკან დაბრუნება.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ კლიენტების პრეტენზია იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა არ აცნობა მათ საქმის დეტალები კუთვნილი უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვასთან დაკავშირებით შეაფასა შემდეგი ნორმებით: ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით, აპეკის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილითა და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით, რომელიც გულისხმობს ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად განხორციელებას. ადვოკატის მოვალეობაა, სათანადო გულმოდგინებითა და სასამართლო საქმის მიმდინარეობის ყველა შესაძლო რისკის შეფასებით, კლიენტს მისთვის გასაგებ ენაზე დროულად მიაწოდოს საქმესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია კლიენტთან შეთანხმებული წესით ან ასეთი შეთანხმების არარსებობისას - კლიენტის მოთხოვნისთანავე. ადვოკატმა კლიენტთან ერთად უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც შეესაბამება კანონსა და კლიენტის საუკეთესო ინტერესებს. ეთიკის კომისიამ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების, ელ-ფოსტის ანალიზისა და მოწმის ახსნა-განმარტების შედეგად დაადგინა ადვოკატის მიერ კლიენტების ინფორმირებულობა - ადვოკატმა განუმარტა კლიენტებს იპოთეკის არსისა და ბუნების შესახებ, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხა მათი გადასახდელი იქნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში სახლს აუქციონზე გაუყიდიდნენ. შესაბამისად, კომისიას გაუჩნდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატი კლიენტს ყველა მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ აწვდიდა ინფორმაციას და მან საქმე აწარმოა კვალიფიციურად. ეთიკის კომისიამ იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი თანხის ნაწილის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე. საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა

¹ https://gba.ge/pdf/5e1c40dbe1f5b.pdf/091_18,%2024.12.2018%20ar%20agdsvra.pdf

ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობით, რასაც კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. საქმეში ვერ დგინდება ადვოკატისათვის ჰონორარის გადაცემის ფაქტი, ამიტომ კომისია წყვეტს მსჯელობას იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი თანხის დაბრუნებაზე.

დასკვნა

კომისია მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკმარისი ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და ადვოკატის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.